ტატია თოფურიას ბიძია ვანო

367


ფონდი № 287 ანაწ. 1 საქ. № 367



ფონდი № 287 Опись 1 ед. хр. 367



დასკანირებულია 18
16.01.25


23.

ცხინვალის რეგიონის გაზეთი

სამშობლოს არვის წაგვართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება

# შიდა ქართლი

გამოდის 1991 წლის 27 ივნისიდან. პარასკევი, 25 ივნისი, 1993 წ. № 21 (147) ფასი 5 კაპ.

## საჩუქრად სამი წიგნი

ამ დღეებში ბანდეროლი მოვიდა რედაქციაში. შიგ აკაკი თოფურიას წიგნის „ლენინიდან გორბაჩოვამდე" სამი ეგზემპლარი იდო. ერთს ეწერა: „გორში სტალინის მუზეუმს ფონდისთვის. ავტორისაგან", მეორეს: გაზეთ „შიდა ქართლის" მთავარ რედაქტორს, ბატონ ვასილ საბანაძეს, საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულ ლტოლვილ მებრძოლს — შეუპოვრობით, გაბედულებით და ობიექტურობით გამორჩეულ ჟურნალისტს, საზოგადო საქმის ერთგულ მსახურს — გულითადი პატივისცემით, სიყვარულით, საკუთარი დიდებული სახლის აღდგენის და ოჯახური ბედნიერების კეთილი სურვილებით, ჯანმრთელობის, წინსვლის და წარმატებების ნატვრით.

ავტორისაგან.
12. V. 1993.

ამ წიგნს თან დართული ჰქონდა ვასილ საბანაძისადმი მიწერილი პირადი წერილიც, სადაც გაანალიზებულია და დადებითად შეფასებული გაზეთ „შიდა ქართლის" საქმიანობა ცხინვალის რეგიონის ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით.

მესამე ეგზემპლარი ბატონმა აკაკი თოფურიამ გამოუგზავნა ცხინვალის ლტოლვილი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტს ბატონ ავთანდილ ცოტნიაშვილს. ბატონმა ავთანდილმა გვთხოვა ამასთან დაკავშირებით დაგვებეჭდა მისი ღია წერილი აკაკი თოფურიასადმი, რასაც სიამოვნებით ვასრულებთ.

ბატონო აკაკი!

როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც თვალცრემლიანი, დაკემსილი გულით ვეამბორებოდი ჩემი ერთადერთი მესაიდუმლის, პირველი და უკანასკნელი სიყვარულის სურათს.

ამჟამადაც დავასკვენი, რომ გართულდა ჩემი სიცოცხლის დღენი. დავხურე ცხოვრების წიგნი. ასეთი განცდების ჟამს, კარზე დააკაკუნეს: „მობრძანდის" შემოიდ თავშესათარში მეწვია ნიჭიერი ჟურნალისტი ვასილ საბანაძე. იგი მომიჯდა გვერდით. გადაშალა თქვენი ახალი წიგნი „ლენინიდან გორბაჩოვამდე" და წამიკითხა: „ფილოლოგიური მეცნიერების მომავალ დოქტორს, და მომავალ პროფესორს, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის გორის ფილიალის დოცენტს, ბატონ ავთანდილ ცოტნიაშვილს — გაჭირვების მძიმე ჟამს გამხნევების, კვლავ თანადგომის, ყოველგვარი წყენის მიმტევებლობის ნიშნად — ჯანმრთელობის, სამეცნიერო - პედაგოგიურ მოღვაწეობაში წინსვლის და წარმატების კეთილი სურვილებით.

ავტორისაგან.
12. V. 1993.

ამ მოვლენამ ბურუსიდან გამომიყვანა, წარმოვიდგინე როგორ გაახარებდა ეს ფაქტი ჩემს თანამეცხედრეს და გამახსენდა: 1954 წლის ზაფხული. ლიტერატურაზე უნაპიროდ შეყვარებული სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტს მოვადექი. წინა საგამოცდო კონსულტაციებს თქვენ ატარებდით. დასმულ კითხვებზე ჩემი პასუხი მოგწონებოდათ, რის გამო რექტორისთვის გითქვამთ, ამ ბიჭს ყურადღებოდ ნუ დავტოვებთო (ნეტავ იმ დროს).

მისაღები გამოცდები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში თქვენ და ბატონ იოსებ მეგრელიძეს ჩააბარეთ (მასაც ვეთაყვანები). ინსტიტუტში ჩარიცხვის შემდეგ თქვენი ხელმძღვანელობით რამდენიმე თემა დავამუშავე. ერთი მათგანი „დადებითი გმირის პრობლემა უახლეს ქართულ ლიტერატურაში" ახლაც ზეპირად მახსოვს. გადიოდა წლები. მე წავიკითხე ყველა თქვენი წიგნი, გამოკვლევა. თვალს გადევნებდით უნივერსიტეტში, (93-ე აუდიტორიაში დავესწარი თქვენი სადოქტორო დისერტაციის ტრიუმფს), მწერალთა კავშირში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ისევ შეხვედრა. თქვენ დაგნიშნეს ყოფილი სტუდენტის საკვალიფიკაციო შრომის ოპონენტად უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ჩემი დისერტაციის ერთსულოვანი დადებითი შეფასება თქვენმა საფუძვლიანმა რეცენზიამ განაპირობა.

1969-70 სასწავლო წელს, როცა თქვენ ცხინვალში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებოდით. ვერ გნახეთ ჩემი იუმორესკის „შიკრიკის მონოლოგის" მთავარი მოქმედი პირის მიზეზით.

თქვენდამი სიყვარული ნაწილობრივ გამოვხატე ცხინვალის ქართულ გაზეთსა და „წიგნის სამყაროში" დაბეჭდილი სტატიით „მეცნიერი, მეომარი", ხოლო შედარებით სრულიად გამოვკვეთე სასტამბოდ გამზადებულ წიგნში „მე თქვენ გბაძავთ", რომელიც სამას ხუთ გვერდიან სადოქტორო დისერტაციასთან ერთად (ორივე რედაქტირებულია აკადემიკოს გ. ციციშვილის მიერ), ჩემს უნიკალურ ბიბლიოთეკაში (არ ვტრაბახობ) დარჩა.

მადლობა, დიდი მადლობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ბუდემოშლილი პიროვნების გახსენებისათვის.

თუ დამცალდა, თქვენი დაბადების ოთხმოცი წლისთავის საიუბილეოდ, მკითხველს წარვუდგენ შრომას „აკაკი თოფურია და სამაჩაბლო".

მოკრძალებით —
ავთანდილ
ცოტნიაშვილი.

გაზეთ „ვესტნიკ იუჟნაია ოსეტიის“ ფურცლებზე

# ახალი ამბები მოკლე სტრიქონებით

სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაიწყო ადმინისტრაციულ - ტერიტორიული რეფორმა. უქმდება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომები. მათ ნაცვლად შემოდის ქალაქის ადმინისტრაციის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოკრუგის მეთაურთა თანამდებობა, ამასთან ადმინისტრაციის მეთაურს ნიშნავს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ამჟამად ადმინისტრაციის მეთაურები დანიშნულია სამხრეთ ოსეთის სამ რაიონში: ჯავასა, ზნაურსა და ცხინვალში.

* * *

სამხრეთ ოსეთში კვლავ ცოცხლდება ძველი კეთილი წესი — სიგელებით დაჯილდოება. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელების ლაურეატები გახდნენ ხორცისა და რძის კომბინატის გენერალური დირექტორი ნ. ზადიშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ნ. კაბისოვი.

* * *

შემოღებულია ახალი სატარიფო განაკვეთები შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დოკუმენტების გაფორმებაში ფასიანი მომსახურების გაწევის საქმეში. კერძოდ, პასპორტის გაცემისათვის განცხადების ღირებულება არის 30 მანეთი, პასპორტის დაკარგვის თაობაზე განცხადება — 100 მანეთი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან — 30 მანეთი. საბინაო წიგნი — 300 მანეთი.

* * *

სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა ოსი ხალხის წინააღმდეგ ქართველთა აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისა და მოხსენიების დღეს დღე 20 მაისია.

* * *

სამხრეთ ოსეთში მოხდა გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში. ორმოცდახუთი ახალწვეული იმსახურებს საჰაერო-სადესანტო სამსახურში.

* * *

რედაქციისაგან: პატივცემულო მკითხველო. კომენტარები ამ ინფორმაციებზე თქვენთვის მოგვინდვია.

# ერთი გრძელი ღამის სიზმარი...

"ბიძაჩემი ნაყიდა მელანაშვილის ხსოვნას...

— და, აი, ერთი წელი ჩანავლდა...

ალარაფერია გაუცხოვებული დღეს ამ ერთ გლოვიან წელიწადში, მითუმეტეს ჩვენს სამაჩაბლოში.

— ერთი წელიწადი;

ერთი გრძელი ღამის სიზმარი: იქნებ და...

ჰო, შენი შვილებისათვის დღესაც იმედიანი სიზმრები დარჩა: მამა ვნახეო წუხელ სიზმარში, ჭიშკართან იდგა, გვეძახდა, კარი ჩაკეტილი იყოო...

მამა მოსულიყოო წუხელ, საქონელი გარეთ დაგრჩენიათო...

მამამ თქვაო...

მამას უნდოდაო...

მაგრამ აღარცერთ გათენებას არ მოჰყავს მამა, სამაგიეროდ მოდის ტკივილი. უშენობის ტკივილი ბიძაჩემო.

ისევ მოვიდა ზაფხული, ისევ გაჩნდა იმედი სისხლისღვრის შეწყვეტის, ისევ დაიყვავილეს შენს ეზოში ვარდებმა, რომლებიც ახლა სათუთად მოგვაქვს შენს უკანასკნელ სამყოფელთან.

ისევ მოვდივართ ჩვენა და დედა, იმ დიდ თბილ ჭერქვეშ, რომლის გარეშეც ჩვენი ყოფნა წარმოუდგენელია, და რომელშიც ვერ დაეტია შენი დიდი და ნათელი სული.

შენს ერთადერთს ძმას — ბიძას ეფერებიან გოგოები, მამის სუნი უდისო;

შენი საფიცარი შვილი, ჩვენი პატარა ძმა უკვე ვაჟკაცია ბიძაჩემო. გოგოები ჩუმ-ჩუმად ჩურჩულებენ;

ისევ გვეგებება ბიცოლა ჭიშკართან, ისევ გვეფერება, ოღონდ ახლა შენი წილი მოფერებაცაა ჩატეული იმ სითბოში, რაც ასე გვისაროდა და გვანებივრებდა შენს დისშვილებს.

ეკა, ნიკა, ბესო, ლონდა ყვავილების თაიგულებით გსტუმრობენ, პაპას დავუკრიფეთო, ტიტინებენ;

და ყველას გვტკივა შენი აუხდენელი ოცნება: მშვიდობა იყოს და ეგეთი ქორწილები უნდა გადავიხადოთო...

— ერთი წელიწადი ჩანავლოა; ერთი გრძელი ღამის სიზმარი.

სხვა ყველაფერი ისევ გრძელდება. მშვიდობაც იქნება, ქორწილებსაც გაითამაშებთ, კიდეც გავიღიმებთ. შენი დანატოვარის სიცოცხლე გაგრძელდება ჩვენს დიდ ეზო-კარში. ოღონდ ეგაა, ჩვენი სიზმრებიდან მოგიყვებით ამას ყველაფერს!

შენი დისშვილი

ხათუნა ბასიშვილი.

ლტოლვილთა კრებაზე

# ერთმანეთისა ბაძვითა...

გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სამაჩაბლოელი ლტოლვილები რომ შეასახლეს, მაშინ პრეტენზიები არავის გამოუთქვამს, მომცრო ოთახებში შეყუჟულ მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს არც სივიწროვე დაუჩივლიათ, რადგანაც ყველას ეგონა, რომ შიდა ქართლის კონფლიქტის ზონაში მშვიდობა მალე ჩაწყნარდებოდა და ისინიც თავიანთ მამა-პაპურ სამკვიდროს დაუბრუნდებოდნენ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, გულისგამაწვრილებლად გაგრძელდნენ დღეები, გაიჯაჭვნენ თვეები და აგერ სამი წელიწადია, რაც ბედის ირონიით გაწამებული ადამიანები დროებით თავშესაფარში იტანჯებიან.

პრობლემები მართლაც დაუგროვდათ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მობინადრეებს. თუმცა შინ დაბრუნების იმედი არავის გადაეწურა, მაგრამ ამ გაძეძგვებულ წუთისოფელში როდემდე ლოდინი? როდემდე ჭირთათმენა? — აი, მოძალებული კითხვები, რომლებიც უკმაყოფილო ტონში ხმამაღლა გაისმა ლტოლვილთა საერთო კრებაზე.

კრების მონაწილეთა წინაშე მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში თავშეფარებულ სამაჩაბლოელ ლტოლვილთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოკლე ანგარიშით წარსდგა ამ კომისიის თავმჯდომარე ანთიმოზ ჭამპურიძე.

ადგილზე შექმნილი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ მოურიდებლად, ფაქტების დასახელებით საუბრობდნენ მარინე რომელაშვილი, შოთა ტრანკაშვილი, ქეთო გაბოძე, სოსო რომელაშვილი და სხვები.

კრების დასაწყისშივე უკმაყოფილება გამოითქვა ადგილზე არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის მუშაკთა უგერგილო საქმიანობის შესახებ. მოზღვავებულ, მტკივნეულ საკითხთა შორის პურით მომარაგება დაასახელეს. ასევე იშვიათად კეთდება სადილი, ეს მაშინ, როცა სასადილოში ათზე მეტი შტატიანი მუშაკია დასაქმებული.

საყვედური გაისმა კალკულატორის ნორა სეხნიაშვილის მისამართით, რომელსაც თითქმის ყოველთვის სახლში ოთხი პური მიაქვს, ზოგიერთ შეჭირვებულ ბინადარს კი ამ სასიცოცხლო პროდუქტს განსაზღვრული რაოდენობითაც კი არ აძლევენ.

პირველ ხანებში სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ლტოლვილთა კომისია მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას დიდი მონდომებით შეუდგა, შემდეგ კი როგორც დროებით თავშეფარებულთა, ასევე მათ მიერ არჩეულ კომისიის წევრთა უმრავლესობას შორის ერთმანეთის ბაძვით არწყეინების ატმოსფერომ იმძლავრა.

ლტოლვილთა კომისიამ ორჯერ შეადგინა აქტი ადგილზე შემოტანილი გამომცხვარი პურის გარეშე პიროვნებებზე გაყიდვის გამო, დოკუმენტი ოპერატიულადაც გაეგზავნა როგორც გორვაჭრობის ხელმძღვანელობას, ასევე სამაჩაბლოდან გორში ლტოლვილთა თანადგომისა და დახმარების შტაბს. მაგრამ მას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. პასუხისმგებელ პირთა ამ და სხვა უსულგულო დამოკიდებულების გამო ლტოლვილთა კომისიის თავმჯდომარემ ანთიმოზ ჭამპურიძემ უარი თქვა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე და საერთოდ კომისიის მთლიანად გადასახლისება მოითხოვა.

ითქვა, რომ სასადილოში ისედაც იშვიათად შემოტანილი პროდუქტები ხშირად ხელმრუდე ადამიანთა ხელში ხვდება. ამის მაგალითად ნიორის, ქათმის ხორცის დანაკლისი დაასახელეს. სწორედ ამიტომ კრების მონაწილეებმა დაჟინებით მოითხოვეს სასადილოში მორიგეობის შემოღება.

ხუთი მცირეწლოვანი შვილის მამამ ალიოშა ნიკორიშვილმა გულისტკივილით განაცხადა, რომ მას სამი წლის მანძილზე ლტოლვილთა მრავალშვილიან ოჯახებზე გათვალისწინებული არავითარი ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღია. აღნიშნულ დახმარებებს ფაქტიურად ერთიდაიგივე ოჯახები იღებენ, ჩვენ კი ყურადღების მიღმა ვრჩებითო.

როდესაც მსჯელობა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულად დახმარებას შეეხო, ყველას სახეზე უკმაყოფილებამ გადაკრა. თუ ზოგიერთი მატერიალური დახმარების სიებში მოხვ-

გამოცდილი სკოლებში

## სინათლის უშრეტი წყარო

ამ საქმეში დანომრილია

ერთი

( 1 ) ფურცელი ______ 20 წ.

ხელმოწერა ______